

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერ სიძველეთა დაცვისა და აღრიცხვის დეპარტამენტის მეცნიერთანამშრომელი

ილია ჭავჭავაძის უბის წიგნაკების და პირადი ჩანაწერების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობისათვის

ამა თუ იმ მოღვაწის უბის წიგნაკები და ჩანაწერები ირეკლავს არა მხოლოდ მის პირად ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს, არამედ ისტორიულ-კულტურულ გარემოსა და მიმდინარე მსოფლიო პროცესებსაც. ილია ჭავჭავაძის წერილობითი მემკვიდრეობის ამსახველი ეს ფართო და მრავალშრიანი მასალა დღემდე გამოუქვეყნებელია. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის პირადი და შემოქმედებითი პორტრეტი სადღეისოდ კარგად არის შესწავლილი, ამ სპეციფიკური წყაროების მონაცემები საგულისხმო დანამატია როგორც მისი პორტრეტის შესავსებად, ისე იმ გარემოს შესაფასებლად, რომელშიც მწერალს ცხოვრება და მოღვაწეობა უწევდა.

მეცნიერთა მიერ სათანადოდ არის შესწავლილი ილია ჭავჭავაძის ისეთი დოკუმენტური ხასიათის ტექსტები, როგორებიცაა: პუბლიცისტური და პირადი წერილები, თუმცა ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული პირად ჩანაწერებზე (უბის წიგნაკები, ამონაწერები, მინაწერები), რომლებშიც ხშირად გაერთიანებულია სხვადასხვა წარმომავლობის ასობით შემოქმედებითი თუ სამოქალაქო იმპულსი, რომლებშიც ავტორი საკუთარი შეგრძნებებისა და გარემოს ფხიზელი მოყურადეა.

ამ სპეციფიკურ წყაროებში მაღალი ხვედრითი წილი მოდის ილიასთვის სასურველი თუ საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალზე. საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სხვადასხვა დროს შესრულებული 10 უბის წიგნაკიდან (№№56-65) 5-ში ვხვდებით ამ ხასიათის ჩანაწერებს. ჩამოთვლილი წიგნების სათაურებიდან გამომდინარე, მწერლის ინტერესთა სფერო მოიცავს წარმოუდგენლად ფართო სპექტრს – ძველი აღმოსავლეთის ისტორიით დაწყებული, ოთახის მეყვავილეობისა და თევზჭერის პრობლემით დამთავრებული. დაინტერესებული პირი აქ შეხვდება ღირსების საკითხებსაც ფილოსოფიასა და სამართალში და

ძალეების წვრთნის მეთოდებსაც, ცივილიზაციის ფსიქიკურ ფაქტორებსაც და მეფუტკრეობის საკითხებსაც, შუა საუკუნეების ქალთა პრობლემასაც და სამკურნალწამლო მცენარეების გამოყენების გზებსაც, ყველა დროისა და ერის ზღაპრებს, ლეგენდებსა და გამოცემებსაც და მღრღნელების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლასაც, ნებისყოფის წვრთნის საკითხებსაც და ბუნებრივი თვითმასწავლებელსაც. ილია ფლობს ინფორმაციას არა მხოლოდ რუსულენოვანი, არამედ რუსულად თარგმნილი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და საყოფაცხოვრებო ლიტერატურის შესახებ. აქვე ვხვდებით საჭირო ლიტერატურის მოძიების კონკრეტულ დეტალებსაც – ნიგნის გამყიდველთა და მალაზიის მისამართებსაც.

უბის ნიგნაკს ზოგადად დროისა და რესურსების ოპტიმალურად მართვის მექანიზმაცა მიიჩნევენ. მისი მნიშვნელობა ის არის, რომ ადამიანები იქ მათთვის საჭირო მონაცემებს მარტივად და სწრაფად ინიშნავენ და თან დაატარებენ. ამის გამო ილიას უბის ნიგნაკებში ძალიან ბევრი საჭირო, პრაქტიკული დანიშნულების ჩანაწერი გვხვდება. ამ მხრივ, საყურადღებოა „ხეებზე ჭია-ჭუას გასაწყვეტი წამლის“, „წყალში გამძლე ნებოს“ რეცეპტი, „ლაქიროვანი ტყავის განახლების“ მეთოდი, სიცივისგან დამძრალი ხილის თუ მწვანე ხილის შენახვის გზები, რევმატიზმის საწინააღმდეგო წამალი და ა. შ. იმ პრაქტიკულ მიდგომებს, რომლებითაც ილია დაინტერესებულა, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ამ წყაროებში ხშირია ასევე საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებული სხვა ჩანაწერები. როგორც ჩანს, ილია განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ტექნიკის სიახლეებით. 1880-იანი წლებისთვის საგურამოს მამულში მისი შრომის იარაღების ჩამონათვალში უკვე ვხვდებით მარცვლეულის სამკალ და სალენ მანქანას. უბის ნიგნაკში ერთგან საუბრობს ყინულის მოსამზადებელ აპარატზეც [4] პეტერბურგში მალაზიის მითითებით და ტრიენტეში გამოსულ ძმები გალიების 16 გიულდენად ღირებულ რალაც აპარატზე (დანიშნულება ჩვენთვის უცნობია) [4]. მისი ინტერესის საგანია პრიზმული ჭოგრიტიც (Бинокль призматический) [6], თავიდან მისი გამომგონებლის – შერცის, ხოლო სხვა ადგილას კი, სავარაუდოდ, კერძო ქართველი მფლობელის – ერისთავის („ბინო[კლ]ი ერისთავისა“) მითითებით [4]. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ახალი, საინტერესო მოწყობილობის საქართველოში შემოსვლა ილიას არ გამოორჩებოდა.

უბის ნიგნაკში საუბარია ფისის ნედლეულზე დამზადებულ ერთგვარ სამკურნალო დანიშნულების საპონზე („Дегтерное – стирное

мыло Бергера“; „Глицерино-дегторное мыло Бергера“) [6], რომელიც ეფექტურად გამოიყენება ფსორიაზისა და სეპორეის დროს.

როგორც ცნობილია, ილიას უწევდა მშენებლობის სხვადასხვა საკითხში გარკვევა, რაც მას ამ დარგში არცთუ მწირ გამოცდილებას უფროვებდა. ბუნებრივია, ეს მოცემულობა შესაბამისად უნდა ასახულიყო მის უბის ნიგნაკებში, რომლებიც ადასტურებს კიდევ ამას. აქ ხაზგასასმელია მისი მიდგომები როგორც სამშენებლო მასალის ხარისხის, ისე კომფორტული მოწყობის და, რაც მთავარია, დანახარჯების რაციონალიზაციის თვალსაზრისითაც. მასალის სიიაფეს ის ხაზს უსვამს, მაგალითად, ამ შემთხვევაში: „Дешевыя краски на молокѣ, керасинѣ и скипидарѣ, Инжинера Степанова“; „Дешевыя несгораемая постройки Грудистона“ [5]. ინტერესდება ბროშურით, რომელშიც საუბარია ალიზისა და კუპრის გამოყენებით ნაშენებ ნაგებობებზე. საუბრობს „გალლანდიის საყაზე“ – შავ საღებავზე, რომელიც გამოიყენება ფერწერასა და პოლიგრაფიაში, ასევე ასანთის თავების დამზადებაში.

რამდენიმე შემთხვევაში ილია დეტალურად აღწერს ასაშენებელი ოთახების ფართობს, კარ-ფანჯრის ზომებს, ქერისა და იატაკის საჭიროებებს – შეღებვას ან შპალიერით განებვას... [3]. ეს ჩანაწერები ილიას ახასიათებს როგორც კარგ პრაქტიკოსსა და კარგ მეურნეს.

ერთ-ერთ უბის ნიგნაკში ვხვდებით ხუთი პუნქტისგან შემდგარ ერთ ჩანაწერს, რომელთაგან პირველი შეეხება გალვანიზებულს, თუთიით დაფარული რკინის ქარხანას, მეორე – გამოცემას „მარქსიზმიდან იდეალიზმამდე“, მესამე – თოჯინას, რომელიც იცინის, მღერის, სძინავს და საუბრობს, მეოთხე – საპონს, ხოლო მეხუთე – ყინულის მოსამზადებელ აპარატს [4] – ეს ჩანაწერი ილიას ინტერესთა სფეროს მრავალმხრივობაზე მიუთითებს.

უბის ნიგნაკები, ბუნებრივია, ზუსტად ირეკლავს ილიას, როგორც პუბლიცისტის, მოქალაქეობრივ მისწრაფებებს. ამ წყაროებში, როგორც მოსალოდნელია, არაერთგზის ვხვდებით მეთაური წერილების თემების ესკიზებსაც. ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხთა ეს წრე კარგად ასახავს ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისის პროექციებს. „მეთაურები: 1. სოფლის განაჩენი, როგორ უპატრონონ სოფელსა. 2. კახეთის რკინის გზის გამო. 3. საკომლოების გაუსყიდავობა. 4. მიწების განაწილება, ვენახებში რომ ბევრგვარი ყურძენია. 5. №28 Русския Ведомости. 6. პოლიაკების გამოდევნა რუსეთის წინააღმდეგი უნდა იყოს იმ მხრით, რომ პოლიაკები ავსტრიისაკენ მიახედეს, თქვენი

ხსნა აქ არისო. 7. ჩივილი მუშების უვარგისობაზედ. კარგად შენახვა მუშისა საჭიროა და არა სავენებელი“ [7]. ეს შავი ჩანანერიც, რომელსაც, ბუნებრივია, საპუბლიკაციო პროდუქტად რეალიზების დროს არ დააკლდებოდა ავტორისეული სკრუპულოზურობა, სიღრმე, მკაფიო და მიზანმიმართული აქცენტები, უკვე, ამ ფორმითვე, ამბობს სათქმელს ქართულ სოფელზეც და საერთაშორისო პოლიტიკაზეც, აგრარულ სექტორზეც და ურბანისტულზეც, სოციალურ საკითხებზეც და ადმინისტრაციულზეც...

ამ წყაროების საგულისხმო ბლოკია ავტორის ინტენსიური დაკვირვება ლინგვისტურ მასალაზე, ძირითადად, ზმნურ ფორმებზე (მაგალითად, ვინახულე, ვიბარგულე, ვიმარხულე, ვიდგომილე), ობიექტური პირის ნიშნის მადიფერენცირებელ მნიშვნელობაზე პარონიმიის შემთხვევებში (მიყიდე – მიჰყიდე, ფლავს – ჰფლავს, ყრიან – ჰყრიან, დევს – ჰ/სდევს, ჰშველის – შველის...), თანდებულებზე (გარდა, ქვეშ, შორის), რუსულ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისებზე (მცოდინარობა – знание; терраса – ბაქანი, პეიტრობა – умничание...). ის გამუდმებით ეძებს საინტერესო ლექსიკურ და გრამატიკულ ფორმებს ქართულ ფოლკლორში და ინიშნავს უბის ნიგნაკებში.

ერთ-ერთი უბის ნიგნაკის [8] თითქმის 6 გვერდი შევსებულია რუსულ-გერმანული ლექსიკონით, რაც, სავარაუდოდ, 1900 წელს ილიას გერმანიასა და ავსტრიაში სამკურნალოდ ყოფნას უკავშირდება. ამ ლექსიკონში რუსულ სიტყვებს ახლავს გერმანული შესატყვისები რუსული ტრანსკრიფციით. სანიმუშოდ მოგვყავს ამონარიდი ლექსიკონიდან: Где = во, Готово = фертиг, Длинный = Ланг, До = Биз, Дверь = тюрე, Довольно = Ганц, Дорога = Вег, Далеко = вайт, Дешевый = биллигес, Ждать = вартен, Забыть = фергсен, Замок = шлосс, Звать = руфен, Если = ванн, Есть = эссен, Идти = геен, Курица = huhn...

ილიას ამ მემკვიდრეობის საინტერესო ნაწილია სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა უბის ნიგნაკში ჩანიშნული ცნობები მსოფლიო ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების წევრთა პარტიული, რელიგიური და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. მაგალითად, „პრუსიის ლანდტაგში კონსერვატორები და ნაციონალ-ლიბერალები, მომხრენი ბისმარკისა სულ 250 კაცია, კლერიკალები 100 მდე, თავისუფალ მოაზრენი 43, პოლაკები 16 – სულ წინააღმდეგი 160 კაცია“ [6] ან კიდევ: „იტალიის პარლამენტში სულ 508 დეპუტატია“. „საფრანგეთის პალატაში სულ 584 დეპუტატია, მათ შორის კონსერვატორები – 184.“

ძალზე საინტერესოა ჩანანერები, რომლებშიც ჩანს ილია ჭავჭავაძისეული პოლიტიკური შეფასებები, მაგალითად, ერთგან მწერალს ჩაუნერია: „ინგლისის მთავრობის ხასიათი: ყოველთვის უთმობს ხალხსა და არ უფრთხის ზოგიერთებისამებრ, რომ უღონობაში ჩამომართმევენო“ [7]. მწერლისავე მინანერიდან „მეთაურისთვის“ ჩანს, რომ მათ ავტორი საგაზეთო სტატიების მოსამზადებლად ინიშნავდა.

ილია ჭავჭავაძე თავის ჩანანერებში ყურადღების მიღმა არ ტოვებს მე-19 საუკუნის მთავარ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ტენდენციებს. იმ ფაქტს, რომ მისი თანამედროვე მსოფლიო მასშტაბის სოციოლოგები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, სამართალმცოდნეები, ეკონომისტები შემთხვევით არ არიან მოქცეული მის ინტერესთა სფეროში, ისიც ადასტურებს, რომ უბის წიგნაკებში ხშირად ვხვდებით იმ ავტორთა და ლიტერატურის ჩამონათვალს, რომელთა ფუნდამენტურ შრომებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო ისტორიის განვითარების ხაზის განსაზღვრაში. ილია ჭავჭავაძე ზრუნავს მათი ნაშრომების არ მხოლოდ შექენაზე, არამედ ზოგჯერ ათობით გვერდს უთმობს ამ ტექსტების დამუშავებას.

ამ სკრუპულოზურად დამუშავებულ წიგნებს ჰყავს მეტად ანგარიშგასანევი ავტორები: კარლ მარქსი, რუდოლფ შტამლერი, ლუი ბრენტანო, კარლ ბიუხერი, ფერდინანდ ლასალი, ბელტოვი (გიორგი პლეხანოვი), ჯონ სტიუარტ მილი, ჰერბერტ სპენსერი, ტომამ მასარიკი, გაბრიელ შეფლე, გუსტავ შმოლერი, ოგიუსტ კანტი, ფრიდრიხ ენგელსი, ანტონიო ლაბრიოლა, ლესტერ უორდი, ვერნერ ზომბარტი, ადამ სმიტი, დავით რიკარდო, კარლ კაუცკი და სხვები [11]. ეცნობოდა ილია მათ შრომებს, აკეთებდა საჭირო ამონარიდებს, იშვიათად, მაგრამ მაინც ურთავდა შენიშვნებს, აჯგუფებდა, პარალელებს უძებნიდა და სისტემურ ხასიათს აძლევდა. ის ბრმად რომ არავის მისდევდა, ყველაფერს რომ კრიტიკული თვალით აფასებდა და მხოლოდ მისთვის მისაღებს იზიარებდა, ჩანს მისი ერთი გამონათქვამიდანაც: „თვით იკვლიე, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, შეამოწმე და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხისგან აღმოჩენილი და ნაკვლევი“ [12, 391]. სწორედ ამგვარი გამოცდილებით იქმნებოდა ილიას პუბლიცისტური წერილები თვითმმართველობის, კონსტიტუციური მონარქიის, ეკონომიკური კონსერვატიზმის, კერძო საკუთრების, საარჩევნო სისტემების, ლიბერალიზმის და ა. შ. შესახებ. 90-იანი წლების ბოლოს კი ამ ლიტერატურას, როგორც სოლი-

დურ თეორიულ ბაზას, იყენებდა სოციალ-დემოკრატებთან პოლემიკისას. სავარაუდოა, რომ ილია ამ მასალას ეყრდნობოდა ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდის აქტუალიზაციისთვისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის ერთგვარ ბაზადაც.

როგორც ჩანს, ზოგიერთ ამონაწერს უფრო კონკრეტული დანიშნულება აქვს, ილია მას საგანგებო საჭიროებისთვის, რალაციის დასასაბუთებლად იყენებს. მისი ნაფიქრალი არგუმენტაციის სისტემის სრულ ფორმირებამდე რთულ გზას გადის. ის ეძებს დამატებით მასალას, ლიტერატურას იმისათვის, რომ საფუძვლიანად გაეცნოს განსახილველ საკითხს, შემდეგ ამუშავებს, აანალიზებს და წერილობით აყალიბებს. ამონაწერებში ერთგან ჩვენი ყურადღება მიიქცია ილიასეულმა შენიშვნამ – „интеллигенция“ Жордания“. ამონარიდების, ჩანაწერების, ფრაგმენტების, ზოგადად, რთული სპეციფიკური წყაროების კონტექსტების დასადგენად ასეთ კომენტარებს შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ჩანს, 1898 წელს ილია ჭავჭავაძე გაეცნო ნოე ჟორდანიის „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ის ასე მსჯელობდა: „გონიერება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სანთლის საძებარია, ხოლო უგუნურება ყველგან და ყოველთვის ადვილად მისაგნებია. ცხადია, პირველის ჭურჭელი – ინტელიგენცია – ძლიერ ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორის კი (ესე იგი, უგუნურების) მთელი ხალხი, მთელი ერია“ [2]. ბუნებრივია, ეს მოსაზრება ილიას არ გამორჩენია, მაგრამ პასუხი მაშინვე არ გაუცია. როგორც ჩანს, მან (ვინც ეჭვის თვალით უყურებდა ნოე ჟორდანიას მიერ საკუთარი თავის მარქსისტად აღქმას) ამგვარი აზროვნების წყაროდ მარქსიზმი მიიჩნია და დაიწყო მარქსისტულ ლიტერატურაში „ინტელიგენციის“ ამგვარი დეფინიციის კვალის ძიება. ამ პოლემიკისთვის საჭირო ცოდნითა და არგუმენტებით შეიარაღებულმა ილიამ 1900 წლის აპრილში გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ ციკლში „პატარა საუბარი“ პასუხი გასცა ჟორდანიას მოსაზრებებს, მათ შორის, მოსაზრებას „ინტელიგენციის“ შესახებ. „მახსოვს, – წერს ილია – სადღაც მომიკრავს ყური რუსულ ლიტერატურაში ინტელიგენციის ასე გაბიაბრუებისათვის, მგონია, რუსის ახირებული მარქსისტი ბელტოვია ესე ავად მხსენებელი ინტელიგენციისა... ლონისძიებაა მიღებული, რომ სადმე ბელტოვის ნაწერი ამ საგანზე როგორმე ვიშოვო, მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება“ [3]. სწორედ ამ დროიდან იწყებს ის ბელტოვის ნაშრომის ძიებას. ბელტოვი მარქსიზმის თეორეტიკოსისა და პროპაგანდისტის, საერთაშორისო და რუსული სოციალისტური მოძრაობის თვალსაჩინო

წარმომომადგენლის – გიორგი პლენანოვის ფსევდონიმია. ილია ჭავჭავაძე სწორედ მისი ნაშრომიდან ამონარიდებს იწერს ჩვენს საკვლევ საარქივო ერთეულში, სადაც ყურადღებას აქცევს ისეთი ცნებების შეპირისპირებას, როგორებიც არის „критически мыслящий“ человек/ „критически мыслящие“ личности“ და „Масса“ და „толпа“; ინტელიგენცია, როგორც „გონიერების ჭურჭელი – და ხალხს, როგორც „უგუნურების ჭურჭელს“. თუმცა არგუმენტს იმის დასამტკიცებლად, რომ ჟორდანიასეული მოსაზრება ბელტოვის იდეებს ეფუძნება, ნაშრომი არ იძლევა. ამით კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ნოე ჟორდანიას შორს არის მარქსისტული აზროვნებისაგან.

ზემოთ დასახელებული ნაშრომებიდან ამონარიდებში შესაძლოა გამოიყოს საკითხთა ის წრე, რომლითაც უფრო მეტად ყოფილა დაინტერესებული ავტორი. ასეთებია: მშვიდობისა და ომის ადგილი ცივილიზაციის კონტექსტში; ძველი აზროვნებისგან თავისუფალი გონის მეუფების მნიშვნელობაზე ფიქრი; პიროვნებათა და ერთა ინტელექტუალური და ზნეობრივი სოლიდარობის აუცილებლობის პროპაგანდა; აქცენტების დასმა საზოგადოების პატივისმცემელი ხელისუფლების ვალდებულებებზე, რომ მან უნდა მისცეს მოქალაქეს სიტყვის და აზრის თავისუფლება, უზრუნველყოს მისი პირადი ხელშეუხებლობის უფლება; ბიუროკრატის უპასუხისმგებლობის აღაგმვის ერთადერთ გზად დასახოს საზოგადოებრივი კონტროლი და ა. შ. [11]. ეს და მომიჯნავე საკითხები მკაფიოდ საზღვრავს ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობრივ და ფასეულობით სისტემას.

თუ ილია ჭავჭავაძე მისთვის ხელმისაწვდომი რუსულენოვანი ლიტერატურიდან აკეთებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ჩანაწერებს, რომლებიც საზოგადოებისა და სახელმწიფოების მონყობის ალტერნატიულ გზებსა და თვალსაზრისებს ეხება, ილიას მიერ ამონერილი ანდრეზული აზროვნების ქართული ნიმუშები კი ადამიანური ბუნების ფარულ მანკიერებებზეა აქცენტირებული. მაგალითად, ასეთებს: „ქართველი ქარიანია, თორემ „ქართ ველი“ აღარ ერქმევოდა; სულელი იმიტომ არის სულელი, რომ „სულ ელის“ და თითონ კი გულხელი დაუკრეფია; თავი რომ კარგი იყოს, „ავის“ ზმად აღარ იქნებოდა; ჭკვაი სწორედ „ვაია“, ამიტომაც არის დაწერილი ვაი ჭკვისაგან; ძნელია, რომ კაცმა ჩინი იშოვოს, რომ თვალში „ჩინი“ არ დაჰკარგოს; მალლა წამსვლელი დაბლა უნდა იხრებოდეს; დიდთან თავლი, პატარასთან ბალღამი დიდკაცობას ნიშნავს; უფროსი რომ თავი არ იყოს, ხელქვეითებს საკუთარი თავები ესხმებოდათ“ და ა. შ... [9] ილია ამ თვალსაზრისით კიდევ ერთ საინტერესო მეთოდს

მიმართავს: „ქილილა და დამანასა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებიდან იწერს და ანბანზე ალაგებს აფორიზმებს [10]. მეტად საგულისხმოა, ასევე ილიას, როგორც ლექსიკოგრაფის მუშაობა, როდესაც ის ქართულ-რუსული ლექსიკონის დოკუმენტურ წყაროდ იღებს, ზოგადად, ყველაზე ავთენტურ და ლექსიკურად კარგად დამუშავებულ ბიბლიურ ტექსტებს, თუმცა ის ამ საშურ შრომას ვერ ასრულებს.

უბის წიგნაკები და პირადი ჩანაწერები – ილია ჭავჭავაძის წერილობითი მემკვიდრეობის ეს ნაწილი – საგულისხმოა არაერთი თვალსაზრისით. მწერლის აქ გამოხატული პირადი მისწრაფებები ხშირად იშლება არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ მსოფლიო განვითარების სიბრტყეზე, ზოგჯერ ეროვნული მასშტაბის პრობლემა ილიასეული გააზრებითა და ინტერპრეტაციით მსოფლიო მასშტაბებს იძენს და მსოფლიოს ისტორიის თითქოს განყენებული ფაქტები მის პირად ჩანაწერებში ეროვნული რეალობის შეფასების სწორუპოვარ არგუმენტებად იქცევა. სწორედ ამ გადასახედიდან კვლევა, ერთი მხრივ, ილიას პორტრეტის გამდიდრების, მეორე მხრივ, კი მე-19 საუკუნის რეალობის ერთი შრის კონტურების რეკონსტრუქციის მცდელობაა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „ივერია“, 1900, №88.
2. გაზეთი „კვალი“, 1898, №12.
3. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №56, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
4. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №57, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
5. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №60, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
6. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №61, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
7. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №64, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
8. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №65, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
9. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №204, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
10. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №207, კორნელი კეკელი-

- ძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
11. ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №209, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
 12. ი. ჭავჭავაძე, ატომეული, ტ. IV, თბილისი, 1987.

Esma Mania

*Korneli Kekelidze Georgian National Centre
of Manuscripts, Department of Manuscript
Preservation and Registration, Scientific
Researcher*

Personal Notes and Notebooks of Ilia Chavchavadze as Historical-Cultural Source

Summary

Personal notebooks and notes of any public figure describe not only their interests, views and necessities, but also historical-cultural environment and ongoing processes in the world. This wide and multi-layered material from Ilia Chavchavadze's written heritage has never been published before. Though personal and creative portrait of Ilia Chavchavadze is very well studied today, information given in these specific sources is significant addition to his portrait and for understanding environment, in which writer had to live and work.

We are very familiar the documental texts like personal letters and diaries, but little attention is paid to personal notes (notebooks, extractions, postscripts, remarks), which very often include hundreds of civil or creative impulses of different origin in which we see the author as a wakeful watchman of his perceptions and environment.

Article based on these specific sources is an attempt to enrich portrait of Ilia Chavchavadze, as well as to reconstruct contours of at least one layer of life in 19th century.